შ.პ.ს „arqiinvesti” „ARCHYINVEST” Ltd

მაყაშვილის № 2/2 MAKASHVILI str. № 2/2

i|k:404954046. tel:551660088. Email:architecs2011@mail.ru

თბილისი 21.08.2017

ქალქ თბილისის მერიას

ჩვენი კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ბ-ნმა ირაკლი გელაშვილმა 01.06.2017 წ. განცხადებით (რეგისტრ. N 19/01171521520-01) მოგმართათ კომპანიის წინაშე წარმოქმნილ პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით. საქმე ეხება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის მიერ მისივე გაცემული მშენებლობის ნებართვის გაუქმებას, რამაც კომპანიას მოუტანა დიდი ზარალი.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, შპს „კომპაუდის“ მიერ შეფასდა გაცვლას დაქვემდბარებული უძრავი ქონებები და დადგინდა მათი საბაზრო ღირებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ განმეორებით და გთხოვთ, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, მაყაშვილის ქ. მე-2 ჩიხი N 2 / ქ.თბილისში, მაყაშვილის ქ. 1-ლი ჩიხი N 4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი N 01.15.02.038.049) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, კომპანიას საკუთრებაში გადასცეთ ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას გამზირზე, II კვარტალში, N 9ა და N 9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N 01.14.03.022.003). ამ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის გადმოცემის შემთხვევაში, მისი სამშენებლო განვითერებისას გათვალისწინებული იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული და შესბამისი უფლებამოსილი ორგანოების, მათ შორის - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან გაცნობებთ, რომ შპს „არქიინვესტი“ (ს/კ 404954046) თანახმაა, მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური გადაიხადოს უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

დირექტორი ნიკოლოზ სუხოვიცინი